პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 50 (2098) კვირა, 8 დეკემბერი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა, თუ როგორ მიმდინარეობს 1985 წლის სახელმწიფო დავალებათა შესრულება, და პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ამოცანად დაუსახა წარმატებით შეასრულონ საწარმოო გეგმები, ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, ძირეულად გააუმჯობესონ სახალხო-სამეურნეო მექანიზმის ყველა რგოლის დაგეგმვა და მართვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, რომელმაც განიხილა ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობიდან და ოჩამჩირის რაიონის სოფელ ლაბრის კოლმეურნეობიდან ციტრუსების დატაცების ფაქტები, დაავალა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებს გაძლიერონ მუშაობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების კრეფის, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის დროს ნეგატიურ მოვლენათა თავიდან აცილებისათვის.

განიხილა რა მექრთამეობის ფაქტები და სახელმწიფო დისციპლინის სხვა უხეში დარღვევები საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა, რომ ეს საკადრო პოლიტიკის სერიოზული დარღვევების, სოციალისტური დისციპლინის შესუსტების, დარგის ხელმძღვანელი კადრების დაბალი საქმიანი კვალიფიკაციის შედეგია.

ბიუროსა და სამდივნოს სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.

## НАШИ ПЕРЕДОВИКИ

С 1972 года работает в органах внутренних дел старшина милиции Тристан Александрович Гигинеишвили. В ЛОВД на ст. Кутаиси он начал работать рядовым милиционером, а с 1984 года Т. Гигинеишвили работает старшиной милиции. Тристан Гигинеишвили на работе проявляет инициативу. Много преступников было задержано им на протяжении вот уже тринадцати лет. Только за этот год Т. Гигинеишвили, сопровождая пассажирский поезд «Москва — Цхалтубо» задержал пятерых спекулянтов.



**На снимке:** старшина милиции Т. Гигинеишвили.

В 1981 году коммунисты отдела оказали ему высокое доверие, приняв в ряды КПСС. Теперь он — заместитель секретаря партбюро. Отличник милиции Т. Гигинеишвили за достигнутые успехи в работе награжден памятными подарками. За хорошую работу неоднократно поощрялся руководством отдела.

## ДРУЖБЕ КРЕПНУТЬ

На этой неделе в нашем городе побывала делегация министерства внутренних дел Народной Республики Болгарии.

Гости имели беседы с министром внутренних дел ГССР генерал - лейтенантом в/с Г. Гветадзе, начальником политотдела полковником милиции А. Анкваб, заместителем министра генерал-майором в/с Г. Середкиным, побывали в службах министерства.

Делегация посетила Сабурталинский РОВД, отдел вневедомственной охраны Заводского РОВД, Горийский ГОВД. Коллеги из Болгарии интересовались положительным опытом, накопленным в подразделениях внутренних дел республики.

Гости ознакомились с достопримечательностями Тбилиси и Гори. В Доме культуры имени Ф. Э. Дзержинского МВД ГССР в их честь был дан концерт участников художественной самодеятельности.



### რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

## მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს

**ახლახან** გაიმართა საქართველოს კომპარტიის გულრიფშის რაიონული პარტიული ორგანიზაციის XXII კონფერენცია. იგი გახსნა პარტიის გულრიფშის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. კვანტალიანმა.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ გარკვეული მუშაობა ტარდება რაიონში კანონიერების დაცვის და წესრიგის დამყარების უზრუნველსაყოფად, მაგრამ შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ პროფილაქტიკური ღონისძიებები და მართლწესრიგის დაცვისათვის ბრძოლა ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. თუმცა წინა წლებთან შედარებით სამართალდარღვევათა ზრდის ტენდენცია არ იგრძნობა, მაგრამ გაუხსნელი საქმეების ოდენობა არ კლებულობს. ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გააქტიურეს მუშაობა, მაგრამ ამ მიმართულებით გაწეულ საქმიანობას თანმიმდევრული ხასიათი არა აქვს. თვით შინაგან საქმეთა განყოფილებაში აღმოჩნდნენ პირები, რომლებიც არა თუ იბრძვიან ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ, თვით უწყობენ ხელს ნეგატიური მოვლენების გაღვივებას. სუსტ მუშაობაზე მიუთითებს ის, რომ საანგარიშო პერიოდში რამდენიმე თანამშრომელს დაედო ადმინისტრაციული სასჯელი, რომელთა შორის იყვნენ კომუნისტები.

# ОТВЕТСТВЕНЕН КАЖДЫЙ




Не так давно в Гальском районном отделе внутренних дел состоялось открытое партийное собрание, на котором обсуждался вопрос о состоянии и мерах по укреплению дисциплины и социалистической законности. Логическим завершением состоявшегося серьезного разговора о просчетах и недостатках в этой области, о поисках путей для их искоренения стала инициатива коммунистов развернуть борьбу за звание коллектива высокой дисциплины и культуры, встретить предстоящий съезд новыми успехами в службе. Это предложение поддержано всеми сотрудниками РОВД, в подразделениях успешно развертывается предсъездовское соревнование. Тем самым, первичная партийная организация нашего подразделения еще раз подтвердила взятый за последние годы твердый курс на повышение авангардной роли коммунистов в деле дальнейшего совершенствования профессионального мастерства и укрепления трудовой и исполнительской дисциплины.

Ставя во главу угла именно эти задачи, мы исходим из того, что успешная деятельность органов внутренних дел зависит, прежде всего, от того, насколько каждый сотрудник обладает такими качествами, как идейная убежденность и дисциплинированность, организованность и деловитость, требовательность и принципиальность. Воспитанию этих качеств в каждом члене коллектива и подчинена деятельность нашего партбюро. За последнее время последовательно осуществляются мероприятия, направленные на дальнейшее повышение активности коммунистов, укрепление дисциплины и организованности. Среди разработанных форм и методов повышения боеспособности низового партийного звена особенно важное место имеет практика заслушивания отчетов коммунистов с утверждением их партийных характеристик. Отчеты, как правило, обсуждаются на открытых партийных собраниях. В характеристике в обязательном порядке всесторонне отражаются не только трудовая деятельность и участие в общественной работе коммунистов, но и уровень политической подготовки, моральные, нравственные аспекты их поведения, образа жизни, отношение к семье, воспитание детей и т. п.

Для обеспечения объективности характеристик выделяется группа товарищей, которая совместно с отчитывающимся готовит проект характеристики и выступает на собрании в качестве оппонента. По итогам заслушивания отчета и рассмотрения характеристики собранием принимается такое решение, в котором дается краткая особенная оценка личности коммуниста и поручения ему.

Положительные характеристики с указанием отдельных недостатков утверждены на 9 коммунистов. В остальных содержится серьезная критика служебной деятельности и личных качеств коммунистов.

Следует отметить, что положительно расценивая деятельность тех или иных членов партии, коммунисты ставят вопрос перед руководством отдела об их поощрении. Так, например, партийное собрание постановило ходатайствовать перед политическим отделом МВД, УК о направлении на учебу на Тбилисский факультет Московской высшей школы милиции коммуниста Э. Цомая, а коммуниста Г. Цхуцхубая представить к награждению знаком «Отличник милиции». Все характеристики направляются в УК министерства для приобщения их к личному делу.

Утвердившаяся практика утверждения партийных характеристик коммунистов на собраниях первичной организации положительно влияет на улучшение оперативно-служебной деятельности личного состава отдела, укрепление политико-морального состояния. Так, например, в районе наблюдается снижение тяжких преступлений, достигнута их стопроцентная раскрываемость. В общей структуре преступности сократилось количество умышленных убийств и покушений, краж государственного и личного имущества, угонов автотранспорта. Больше раскрыто фактов взяточничества, хищений социалистической собственности и спекуляции.

Мы намерены и впредь широко применять эту новую эффективную форму аттестации коммунистов.

Партийная организация отдела постоянно держит в поле своего зрения вопросы охраны общественного порядка. Только в текущем году на партийных собраниях были заслушаны отчеты начальника ОУР «О состоянии и мерах улучшения борьбы с уголовной преступностью», старшего оперуполномоченного БХСС «О состоянии и мерах улучшения работы по сохранности социалистической собственности», старшего следователя «О качестве расследования уголовных дел» и другие.

Руководящий состав отдела на конкретных примерах и допущенных ошибках постоянно учит сотрудников работать слаженно, оперативно, осознанно применять нормативные акты, регламентирующие служебную деятельность органов внутренних дел. Учит правильно оформлять процессуальные документы, принимать самостоятельно верное решение в сложных ситуациях.

Следует отметить, что вопросы исполнительской дисциплины мы обсуждаем на оперативных совещаниях, партийных и комсомольских собраниях регулярно, не ждем когда кто-нибудь допустит нарушение.

Особое внимание уделяем индивидуально - воспитательной работе с личным составом. С лицами, склонными к

(Окончание на 2-й стр.).

პარტიული ცხოვრება

# სერიოზულ გარდაქმნათა აუცილებლობა

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სოციალისტური საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე. აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად თბილისის ლენინის რაიონის შს განყოფილების პარტორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული იქნა გარკვეული მუშაობა სოც. საკუთრების დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების მიზნით.

სოც. საკუთრების დატაცებასთან, მექრთამეობასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის ფორმებთან და საშუალებებთან დაკავშირებული საკითხები, მასთან მებრძოლი ქვეგანყოფილებების თითოეული მუშაკის აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, მათი მუშაობის მიზანდასახულობა და შედეგიანობა არაერთხელ ყოფილა რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი. კრებებზე არსებულ მდგომარეობას ეძლევა პრინციპული შეფასება და მუშავდება რეკომენდაციები ნაკლოვანებათა და დარღვევათა გამოსასწორებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სუსტ პროფილაქტიკურ მუშაობას, განსაკუთრებით კი სპეკულაციისა და სოც. საკუთრების დატაცების ადრეულ პერიოდში თავიდან აცილების შესაძლებლობას.

ჯეროვნად იქნა გაკრიტიკებული ის განყოფილების სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან მებრძოლი ქვეგანყოფილების მიერ აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმდინარეობა პარტიის ლენინის რაიკომთან არსებული სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელმაც აღნიშნა არაერთი ნაკლოვანებები ამ ქვეგანყოფილების მუშაობაში და დასახა მას კონკრეტული გზები მდგომარეობის გამოსასწორებლად. პარტიული ზემოქმედების გაძლიერების მიზნით ამავე ქვეგანყოფილებაში შეიქმნა პარტიული ჯგუფი.

ქვეგანყოფილების მუშაობის ზოგიერთი საკითხი პარტიულმა ჯგუფმა დასვა პარტორგანიზაციის წინაშე და ისინი პარტიულ კრებაზე განიხილეს.

სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების მიერ გამოვლენილი დატაცების, მექრთამეობისა და სპეკულაციის ფაქტების მეტი წილი მოდის მომსახურეობისა და ვაჭრობის სფეროზე, აგრეთვე მე[illegible]ლობებზე.

აღნიშნული კატეგორიების დანაშაულობების გამოვლინებათა შორის უნდა აღინიშნოს 20.080 მანეთის სახელმწიფო თანხის მითვისება „თბილხილბოსტანვაჭრობის“ №109 მაღაზიის გამგის დ. ჭიჭინაძის მიერ; 17.632 მანეთის სახელმწიფო სახსრების მითვისება კარდიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბუღალტრის ნ. ყურუჯანაშვილისა და მოლარის თ. ჩუხრიკიძის მიერ და სხვ.

ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი პრინციპულად აყენებს საკითხს სოც. საკუთრების საიმედო დაცვის და ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო სხვა მოვლენათა აღმოსაფხვრელად, ჩვენი მუშაობა სერიოზულ გარდაქმნას მოითხოვს.

შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პარტიულმა ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ შესძლო სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის მუშაობის ეფექტურობის, ქვეგანყოფილების კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლება. ვერ შესძლო გადაელახა პასიურობა და თვითდამშვიდება მის რიგებში. პარტიულ კრებებზე არ ეხებიან ქვეგანყოფილებისათვის საჭირბოროტო საკითხებს, გვერდს უვლიან მათ, აღნიშნული კატეგორიების წარმომშობ მიზეზებსა და პირობებს არ უკეთდება ღრმა ანალიზი, რაც განუხრელად გააუმჯობესებდა ამ მნიშვნელოვანი სამართალდაცვითი უბნის მაჩვენებლებს. არც პარტიული ჯგუფის შესაძლებლობანი და არსებული რეზერვები გამოიყენება მთელი სისრულით ამ მიზნით. არასაკმაო ყურადღება ექცევა რაიონის მოსახლეობასთან — მასებთან მუდმივ და მჭიდრო კავშირს. საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციებთან საქმიან კონტაქტებს.

ამ სამსახურს ეფექტიანობის ამაღლების, თანამშრომელთა შორის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესების საკითხებმა თავისი ასახვა ჰპოვეს პარტბიუროსა და ქვეგანყოფილების პარტიული ჯგუფის მიერ მიღებულ დადგენილებაში და სამუშაო გეგმაში.

თბილისის ლენინის რაიონის შს რაიგანყოფილების პირველადი პარტიული ორგანიზაცია და მისი ბიურო ყოველ ღონეს იხმარს, რათა გაზარდოს თავისი როლი და მონაწილეობა სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან, მექრთამეობასთან და სპეკულაციასთან ბრძოლის გაძლიერებისათვის. იგი ქმედით დახმარებას გაუწევს სოც. საკუთრებას დატაცებასთან მებრძოლ ქვეგანყოფილებას იმ ამოცანათა შესრულებაში, რომლებიც დგას მის წინაშე.

**თ. ბუაძე,**

**თბილისის ლენინის შს რაიგანყოფილების პარტბიუროს მდივანი, მილიციის მაიორი.**

# საქართველოს სსრ შს სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე

გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომა. სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს კადრების საკითხი. მილიციის პოლკოვნიკი გ. ცინცაძე დაინიშნა სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, მილიციის მაიორი შ. ზანშიაშვილი ამავე სამმართველოს განყოფილების უფროსად, მილიციის მაიორი ს. ბაბასოვი დანიშნულია არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს ქვეგანყოფილების უფროსად დაინიშნა მილიციის კაპიტანი შ. სულაძე.

# РАПОРТУЮТ

**УЧРЕЖДЕНИЕ, ГДЕ НАЧАЛЬНИКОМ Г. КАДАРЕЙШВИЛИ, ГОДОВОЙ ПЛАН ВЫПУСКА ТОВАРНОЙ ПРОДУКЦИИ 8 МЛН. 800 ТЫС. РУБ. ВЫПОЛНИЛО К 1 ДЕКАБРЯ С. Г. В СУММЕ 8 МЛН. 817 ТЫС. РУБ. ВЫПОЛНЕН ТАКЖЕ ГОДОВОЙ ПЛАН ПРИБЫЛИ К 1 ОКТЯБРЯ 1985 г. ВМЕСТО 964 ТЫС. РУБ. ПЛАНА ФАКТИЧЕСКИ ДАНО 1 МЛН. 014 ТЫС. РУБЛЕЙ.**

* * *

**УЧРЕЖДЕНИЕ, ГДЕ НАЧАЛЬНИКОМ И. ГУГУНАВА, ЗА НОЯБРЬ ПЛАН ВЫПУСКА ПРОМЫШЛЕННОЙ ПРОДУКЦИИ ВЫПОЛНИЛО НА 105,7 ПРОЦЕНТА, РЕАЛИЗАЦИИ — 107,5 ПРОЦЕНТА, НОРМАТИВНОЙ ЧИСТОЙ ПРОДУКЦИИ — НА 103,8 ПРОЦЕНТА, ПЛАН ПО ВЫПУСКУ ПРОДУКЦИИ С ГОСУДАРСТВЕННЫМ ЗНАКОМ КАЧЕСТВА — НА 123 ПРОЦЕНТА.**



С большим вниманием и интересом изучают предсъездовские документы молодые сотрудники ППС. В эти дни их часто можно встретить в Ленинской комнате подразделения.

Фото С. Сычева.

# КОГДА ЗА РУЛЕМ СОТРУДНИК...

Любое дорожно-транспортное происшествие — это трагедия на дороге. Водитель, нарушающий правила дорожного движения, подвергает опасности не только свою жизнь, но и жизнь десятков и сотен ни в чем не повинных людей. А если водитель вдобавок еще и находится в нетрезвом состоянии, то вряд ли стоит доказывать, как страшен «ущерб» от их пьяной удали.

Но бывает странным, когда дорожно-транспортные происшествия совершают сами блюстители порядка, те, которые по долгу службы призваны пресекать и предотвращать подобные нарушения.

Анализ дорожно-транспортных происшествий, совершенных сотрудниками органов и подразделений внутренних дел республики не утешителен. Нарушения правил дорожного движения, наезды заканчиваются порой трагически для самих же горе-лихачей.

...2 сентября с. г. в 01час 15 минут милиционер ОВО при Потийском ГОВД Д. Чумбуридзе на автомашине «ВАЗ-21011» госномер 74-59 ГГА, принадлежащей Э. Пирцхалава, в Хобском районе в с. Хорга столкнулся с автомашиной «КАМАЗ-5320» госномер 98-00 ГАР, в результате чего сам скончался на месте, а его пассажиры с телесными повреждениями были доставлены в больницу.

Несмотря на то, что начальник ОВО неоднократно предупреждал его о том, чтобы он не пользовался автомашиной, принадлежащей другому лицу, даже взял с него расписку, тот продолжал свое «дело»...

Милиционер подразделения по охране совпарторганов Сухумского ГОВД Семен Багишвили, нарушив правила дорожного движения, совершил наезд на выбежавшую на проезжую часть дороги М. Бахтадзе, которая с телесными повреждениями была доставлена в больницу.

Мало того, что С. Багишвили грубо нарушил правила дорожного движения, он еще управлял автомашиной, принадлежавшей другому лицу с нарушением указания МВД СССР и приказа МВД Грузинской ССР. Видимо, об этих приказах он и не слышал. Да и не успели, наверное, его ознакомить с этими директивными указаниями, регламентирующими деятельность сотрудников органов внутренних дел. Это лишний раз говорит о том, что в подразделении не на должном уровне находится наставничество, индивидуально-воспитательная работа с молодыми сотрудниками. Итак, милицейская служба С. Багишвили, исчисляющая неполных семь месяцев, завершилась плачевно — он уволен из органов внутренних дел.

Если С. Багишвили не успел ознакомиться с указанием союзного министерства и приказом министерства внутренних дел республики о запрещении управления не принадлежащим им автотранспортом, то инспектор-дежурный ЛОВД аэропорта Сухуми капитан милиции З. Кварацхелия должен был знать хотя бы об их существовании. Однако для него, как говорится, закон не писан. И сел за руль автомашины «ВАЗ-2107» госномер Х76-17ГА, принадлежащей гражданке С. Карчава, да еще вдобавок в нетрезвом состоянии и, грубо нарушив правила дорожного движения, около села Рухи Зугдидского района перешел на левую сторону движения и столкнулся со встречной автомашиной «ГАЗ-24» госномер 85-32 ГГЗ. В результате столкновения оба получили тяжелые телесные повреждения и доставлены в больницу.

З. Кварацхелия также уволен из органов внутренних дел.

Во многих случаях жертвой пьяной удали становятся пассажиры, которые в тот момент не осознают в полной мере свою ответственность перед тем, что позволяют водителю сесть за руль в пьяном состоянии, вдобавок еще и сами садятся рядом с ними.

Так, жертвой пьяного лихачества милиционера ОВО при Калининском РОВД г. Тбилиси стала его сослуживица С. Базоян, которая скончалась в результате наезда на электрический столб. А. Шлапак уволен из органов внутренних дел и нарсудом Октябрьского района осужден к 5 годам лишения свободы.

Список дорожно-транспортных происшествий можно было бы продолжить. Но стоит ли? Думается, что и этого достаточно для того, чтобы доказать, какую опасность для окружающих доставляют вольности водителей на трассе. Последствия, как видите, неблагоприятные. Одни сотрудники уволены из органов внутренних дел, другие привлечены к уголовной ответственности, третьи сами стали жертвами своей удали. В любом случае трагический конец неизбежен. И потому, садясь за руль автомашины, необходимо помнить: за рулем ты водитель, невзирая на титулы, и нарушать правила дорожного движения никак нельзя.

Об этом и наша статья.

**А. СААКАДЗЕ.**

# ОТВЕТСТВЕНЕН КАЖДЫЙ

(Окончание. Начало на 1-й стр.).

**нарушению служебной дисциплины, проводятся беседы. Руководители отдела, представители общественных организаций посещают сотрудников на дому, интересуются их бытом.**

**Можно сказать, что в отделе сложилась определенная система пропагандистской, агитационно - массовой и культурно - просветительной работы, направленной на воспитание дисциплины труда.**

**Тем не менее, мы полностью отдаем себе отчет в том, что в борьбе с преступностью еще много неиспользованных резервов.**

**Коммунисты, весь личный состав отдела преисполнен решимости сделать все от них зависящее, чтобы XXVII съезд партии встретить достойно.**

**Д. ГАБЕЛИЯ,**

**заместитель начальника Гальского РОВД по политчасти, капитан милиции.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანმიმართულებითა და თანმიმდევრობით

როცა ანალიზს ვუკეთებთ განვლილ პერიოდში სიღნაღის შს რაიგანყოფილების მიერ გაწეულ საქმიანობას, უნდა ვთქვათ, რომ პარტიის სიღნაღის რაიონული კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მიერ სისტემატიური ხელმძღვანელობისა და დახმარების შედეგად უფრო კონკრეტული და თანმიმდევრული გახდა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ორგანიზაცია, საზოგადოებასთან კავშირურთიერთობა, დიდი ყურადღება დაეთმო საჯაროობას, ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. აღნიშნულ და სხვა ღონისძიებათა შედეგად რაიონში გარკვეულად განმტკიცდა მართლწესრიგი. იკლო ისეთმა დანაშაულობებმა, როგორიცაა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, სახელმწიფო ქონების ქურდობა, ხულიგნობა, პირადი ქონების ქურდობა, უნებართვო ცეცხლმსროლელი იარაღით დანაშაულის ჩადენა და სხვა.

1985 წლის განვლილ პერიოდში ნაყოფიერი მუშაობა გატარდა მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომელსაც უშუალოდ პარტიის რაიკომთან არსებული სათანადო კომისია ხელმძღვანელობს. ისეთი პირები, რომლებიც სისტემატიურად თავს არიდებენ სასარგებლო შრომას, მიცემული იქნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. გაძლიერდა ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ. ახალი დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით, შემუშავდა გეგმა, სადაც დაისახა ყველა ის ღონისძიება, რომელიც გააძლიერებს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას.

გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად იკლო ქუჩებსა და საზოგადო თავშეყრის ადგილებში ნასვამი პირების მიერ ჩადენილი ხულიგნობის და სხვადასხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაულმა.

პერიოდულად მოწმდება ვაჭრობის ობიექტები ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის წესების დაცვის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო გამოსაფხიზლებლის შენობა არ იყო შესაფერი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. მოქალაქეთა მომსახურება ხდებოდა დაბალ დონეზე, რაც გამოწვეული იყო შენობის სიძველით. ოთახების კედლები და იატაკი ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის გამოც რაიგანყოფილების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა დროებით დაეხურათ გამოსაფხიზლებელი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი.

დიდი ყურადღება დაეთმო პატიმრობიდან დაბრუნებულ პირთა შრომით საქმიანობაში ჩაბმას და მათზე მეთვალყურეობის გაძლიერებას. რაიონისათვის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენდა მეზობლური დავების გამო მომხდარი სისხლის სამართლის დანაშაულობები, რაც დღეისათვის საგრძნობლად შემცირდა. მოდავე მხარეებთან და მათ მეზობლებთან სისტემატური შეხვედრები, ერთობლივი პროფილაქტიკური საუბრები დადებითი შედეგების საწინდარი გახდა. რაიონში მინიმუმამდე დავიდა მეზობლური დავების გამო ჩადენილ სისხლის სამართლის დანაშაულობათა რაოდენობა.

შს განყოფილების თანამშრომელთა მიერ განხილული იქნა მოქალაქეთა მრავალი განცხადება დროულად და ვადების დარღვევის გარეშე, რაც განყოფილების თანამშრომელთა მიღების დღეების და საათების რაციონალურად გამოყენებამ გამოიწვია. უბნის ინსპექტორად და საპასპორტო სამსახურის ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შედეგად დროულად იქნენ გამოვლენილი და მიღებულია სათანადო ზომები საპასპორტო რეჟიმის დამრღვევი პირების მიმართ.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, რაიონში მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, უნდა გაძლიერდეს ბრძოლა ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ, რათა რაიონში დამკვიდრდეს მტკიცე დისციპლინა.

ამჟამად განყოფილებაში უაღრესად დაძაბული, პრინციპული, საქმიანი მუშაობა მიმდინარეობს, რათა პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის საქმეში შემუშავებული კომპლექსური ღონისძიებათა გეგმა, საქართველოს სსრ შს სამინისტროს სადირექტივო მითითება განყოფილების თითოეული მუშაკის არამარტო სამსახურეობრივი მოვალეობის, არამედ ზნეობრივი მოთხოვნილების რეალურ საქმედაც იქცეს.

**ხ. მჭედლიშვილი**
მილიციის კაპიტანი.

# კარგი საჩუქარი

**ახლახან** საზეიმოდ გაიხსნა გარდაბნის რაიონის ახალი სოფლის კულტურის სახლის ორსართულიანი, თანამედროვე შენობა.

კულტურის სახლის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ რაიონის მშრომელები, ინტელიგენცია და ახალი სოფლის შეფები — რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებმაც დიდი დახმარება გაუწიეს სოფლის მშრომელებს კულტურის სახლის მშენებლობაში.

იწყება კულტურის სახლის გახსნის საზეიმო ცერემონიალი; ეზოში უკრავს შს სამინისტროს ორკესტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი გ. გვეტაძე ლენტს ჭრის. ამის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობა და მოწვეული სტუმრები ათვალიერებენ კაბინეტებს, ბიბლიოთეკას.

საზეიმო კრება გახსნა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. კეჟერაშვილმა. სიტყვა წარმოთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. გვეტაძემ. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ რესპუბლიკის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამმართველოს უფროსი ა. კალანდარიშვილი, მეურნეობის მუშა ი. წივილაშვილი, სკოლის დირექტორი ვ. მალალთაძე, მოსწავლე რ. მეტრეველი და სხვები.

მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით მუშათა ჯგუფს გადაეცა ჯილდოები, დასასრულს გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ძეოჟინსკის სახელობის კულტურის სახლის თვითშემოქმედებითმა კოლექტივებმა, ანსამბლ „მხედრულის“ წევრებმა.

კულტურის სახლის ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ო. ბოკერია.

**ა. გოგოლაძე**





**სურათზე: შინაგან საქმეთა მინისტრი გ. გვეტაძე კულტურის სახლის საზეიმო გახსნაზე. ახალი სოფლის კულტურის სახლი.**

ავტორის ფოტო.

## სიფხიზლე — ცხოვრების ნორმა

**ყველა** პატიოსანი მშრომელის მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალმა დადგენილებამ „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ჟინვალის სადაბო საბჭოსთან შეიქმნა სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყოფლობითი შტაბი, რომლის უფროსად აირჩიეს პერსონალური პენსიონერი, სადაბო საბჭოს დეპუტატი კომუნისტი პ. დათუნაშვილი. იგი ენერგიულად შეუდგა პარტიული დავალების შესრულებას, შეიმუშავეს მორიგეობის გრაფიკი, რომელიც დაამტკიცა მშენებლობის სამმართველოს დირექციამ.

# აქტიური მხარდაჭერით

შტაბში რაზმელებად მოწინავე მუშები იგზავნებიან. მათი მიზანია ჟინვალის დასახლებაში დამკვიდრდეს ფხიზელი ცხოვრების წესი. შრომით კოლექტივებში, საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, თითოეულ ოჯახში, კულტურის სახლში და მთლიანად დასახლებაში მოწადინებულნი არიან შექმნან ლოთების მიმართ საყოველთაო-სახალხო შეურიგებლობის ატმოსფერო.

ხუთ თვეზე მეტია, რაც შტაბმა მუშაობა დაიწყო და შედეგიც კარგია, საგრძნობლად შემცირდა ლოთობით ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობა. მოსახლეობა კმაყოფილია რაზმელთა საქმიანობით. დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ საქმეს ჟინვალის სადაბო საბჭოს დეპუტატები, დუშეთის შს რაიგანყოფილების კომკავშირელები და კომუნისტები, რადგან მათ შეგნებული აქვთ, რომ წესრიგის დაცვა სადღეისო მოთხოვნაა.

შტაბის წევრები და რაზმელები უბნის ინსპექტორთან ერთად აკონტროლებენ სავაჭრო ობიექტების მუშაობას.

შტაბი ატარებს ფართო აღმზრდელობით მუშაობას მასიური თავშეყრის ადგილებში, საერთო საცხოვრებლებში.

ჟინვალჰესის მშენებლობის სამმართველოს შრომითი კოლექტივის გვერდით, რომლებიც საყრილობო შრომით ვახტზე დგანან, შტაბიც ამრავლებს წარმატებებს. თუმცა კარგად დაწყებულ საქმეს ხარვეზებიც ახლავს, შტაბს კონსულტაციას არავინ უწევს, არ არის მორიგე მანქანა, დახმარება ნაკლებია, გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი კომუნისტის და ხელმძღვანელის უპასუხისმგებლობა ამ საქმეში, სადაც აქტიური მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს.

უნდა ითქვას, რომ ბახუსის მოტრფიალეებს დღეისათვის მთლიანად გადაეკეტათ გზა მუშათა სასადილოებში, მაგრამ საჭიროა უფრო მიზანსწრაფული, შეურიგებელი ბრძოლა ლოთობის ყოველგვარ გამოვლინებასთან.

**ა. ჯანგირაშვილი,**
უბნის ინსპექტორი.

# НА ЧУЖОМ ДОБРЕ

Для нас, работников ОБХСС Горийского РОВД, существуют периоды в работе, полностью связанные с временами года, а точнее, с сельскохозяйственными кампаниями в районе. Район наш славится богатыми урожаями знаменитых горийских фруктов и других сельхозкультур. Сейчас, например, завершается осенний сбор плодов. К сожалению, наряду с теми, кто радуется колхозным успехам, борется против потерь, есть и такие, кто не прочь поживиться государственным добром.

Среди них расхитители государственной собственности, спекулянты, совершающие кражи с полей. К примеру, заведующий складом Меретского колхоза Горгишели похитил из вверенного ему государством хозяйства 1.843 кг зерна пшеницы, а недостача на складе зерна составила в целом 3 тонны и 243 кг. Житель села Дзевера Хуцишвили и житель села Марана Хубашвили купили по государственной цене 800 кг яблок, вывезли и продали их за пределы республики, получив денежную выгоду в 802 рубля. Так же решил удвоить цену за свой товар некий Зейналов, который приобрел для продажи 500 кг яблок, пытаясь продать их подальше и подороже. Однако сотрудники ОБХСС помешали спекулянту переправить свой груз за пределы республики...

Нередки случаи, когда кражи сельскохозяйственных продуктов совершаются прямо во время сбора урожая. Так, например, охранник Талуашвили во время уборки урожая присвоил 608 кг яблочных плодов стоимостью 282 рубля. Словом, случаев, о которых идет речь, встречается немало.

Ежедневно приходится сталкиваться работникам нашего отдела с делами хищений социалистической собственности. Хорошо потрудились в этом году оперуполномоченные БХСС старший лейтенант милиции Н. Зерекидзе, капитан милиции Н. Гваличава и лейтенант милиции Г. Цкриалашвили. В целом количество хищений, выявленных в этом году, намного превышает показатели прошлого года. Это касается и тех, кто связан с осенней страдой. При этом мне хочется отметить, что результаты эти полностью зависели от активизации нашей работы по выявлению фактов, цель которой — полностью очистить район от тех, кто желает погреть руки на чужом добре.

**М. ДАРБАИДЗЕ,**
**начальник ОБХСС Горийского РОВД, капитан милиции.**

# სახელოვანი ჩეკისტი

**ქართული** საბჭოთა მილიცია და კერძოდ სისხლის სამართლის სამძებრო მრავალი ღვაწლმოსილი და თავდადებული მუშაკით ამაყობს. მათ შორისაა შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული მუშაკი, ლენინის ორდენოსანი, გადამდგარი პოლკოვნიკი იაკობ გიორგის ძე დადიანი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ჩადგა იგი ჩეკისტთა რიგებში. სწორედ იმ ძნელბედობის ჟამს, როცა ახალგაზრდა სახელმწიფოს განსაკუთრებულად სჭირდებოდა ფხიზელი თვალი და მახვილი ყური, როცა მსოფლიოში ერთადერთ და სრულიად ახალი წყობის რესპუბლიკების კავშირს უამრავი შინაური და გარეშე მტერი ერჩოდა, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები დღედაღამ შეუპოვრად ებრძოდნენ კონტრრევოლუციურ ძალებს, სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

ასეთ წრთობაგამოვლილ ვეტერანებს ეკუთვნის ი. დადიანიც, რომლის ღვაწლი პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასა კიდეც: იგი დაჯილდოებულია ორი „წითელი დროშის", „სანიმუშო მესაზღვრის" ორდენებით და სხვა ჯილდოებით.

1927 წელს ი. დადიანი დააჯილდოვეს იარაღით, რომელსაც ამშვენებდა წარწერა: „კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლისათვის", ხოლო 1931 წელს ვერცხლის საათით ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ამჟამად ი. დადიანი დამსახურებულ პენსიაზეა და ამ წერილის მოსამზადებლად მასალები რომ აგვეღო, შინ ვეწვიეთ. სანდომიანი მოხუცი მხნედ გაგვეცნო და შესაშური მეხსიერებით გაგვაოცა. მრავალი ეპიზოდი მოგვითხრო თავისი პროფესიული საქმიანობიდან, მათ შორის ორი ე. წ. „მინიმალურ ვადაში გახსნილი" დანაშაული.

...ეს მოხდა 1930 წელს. საკუთარ ბინაში გაძარცვისას მოკლეს კინოსტუდიის მსახიობი ქალი. გამოძიება ი. დადიანს დაევალა. ექსპერტისა და რამდენიმე თანამშრომლის თანხლებით შემთხვევის ადგილი დაათვალიერა და აღმოაჩინა, რომ მკვლელობა აგურის ჩარტყმით იყო ჩადენილი, რომელიც მკვლელს სახლის მახლობელი, მშენებლობიდან წამოეღო. ბინის დათვალიერების დროს საწოლზე სისხლიანი ნაფეხური შენიშნეს — დამნაშავე საწოლზე ასულიყო, რათა კედელზე დაკიდებულ სურათს მისწვდომოდა. მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ნაკვალევი ქალის ფეხსაცმლისა იყო. სამი დღის ძებნის შედეგად ეჭვი მიიტანეს და დააკავეს ქალი, ეროვნებით რუსი, რომლის ფეხსაცმლის ზომა ზუსტად დაემთხვა საწოლზე დატოვებულ კვალს. დაკითხვის შემდეგ მან აღიარა დანაშაული და დაასახელა თანამონაწილენიც, რომლებიც მეხუთე დღეს დააკავეს. როგორც წინასწარ ვარაუდობდნენ, მკვლელობა გაქურდვის მიზნით იყო ჩადენილი, თანაც დამნაშავენი თავიანთ მსხვერპლს კარგად იცნობდნენ და ამიტომ მოიშორეს თავიდან.

...თბილვაჭრობის მაღაზიები მაშინ ფულს შემნახველ სალაროებში აბარებდნენ. იმ დროისთვის ქალაქში მხოლოდ ორი სალარო იყო და ამიტომ ყოველთვის დიდძალი თანხა იყრიდა ხოლმე თავს. საღამოს 9 საათზე ინკასატორი მოდიოდა, ფულს ჩაიბარებდა და მიჰქონდა. ის დღეც ტყუპისცალივით ჰგავდა სხვა დღეებს, მაგრამ... საღამოს სალაროსთან ავტომობილი გაჩერდა; იქიდან სამი სახეშენიღბული ახალგაზრდა გადმოხტა. სალაროს გამგემ წინააღმდეგობის გაწევა დააპირა, მაგრამ ერთ-ერთი მძარცველის დარტყმის შემდეგ გრძნობადაკარგული დაეცა. ფული გაიტაცეს ინკასატორის მოსვლამდე ათი წუთით ადრე. თანამშრომლების დაკითხვა დილის 5 საათამდე გაგრძელდა. ბოლოს სალაროს გამგემ აღიარა დანაშაულში თანამონაწილეობა და იმ მძარცველთა ვინაობაც დაასახელა. ისინი სტუდენტები აღმოჩნდნენ, რომლებსაც გატაცებული თანხა უკან დააბრუნებინეს. ოპერაციის სანიმუშო ჩატარებისთვის ოპერატიულ ჯგუფს გამოეცხადა მადლობა.

შემდეგაც ბევრჯერ გამოიჩინა თავი ი. დადიანმა და არაერთხელ დაიმსახურა ხელმძღვანელობისა და მშრომელების მადლობა.

1980 წლის 22 იანვარს საქართველოს სს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაბადების 80 წელთან დაკავშირებით გადამდგარი პოლკოვნიკი იაკობ გიორგის ძე დადიანი საპატიო სიგელით დაჯილდოვდა.

...კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით, ვათვალიერებდით ძველ ალბომს, რომელიც ხალხის სიმშვიდის ფხიზელი დამცველის ბობოქარი ცხოვრების ამსახველ ფოტოებსა და გარდასულ დღეთა მოგონებებს ინახავს.

ღვაწლმოსილ ჩეკისტს დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და მხნეობას ვუსურვებთ, მისი ცხოვრების მაგალითი საბჭოთა მილიციის მომავალ თაობებს კვლავაც შთააგონებს და წინ წაუძღვება ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნ. კაპილაძე.

# მოკლედ

## დუშეთი

**...ილიაზ** უმატგირის ძე ტეჩოევმა მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში თვითნებურად მოიპოვა ოქრო განსაკუთრებით დიდი ოდენობით (წონით 500,25 გრამი), რაც სახელმწიფოსათვის არ ჩაუბარებია. აღნიშნული ოქრო მან მოპოვების ადგილიდან ჩამოიტანა ჩეჩენო-ინგუშეთის ასსრ-ში, სადაც ცხოვრობს მუდმივად და მიმდინარე წლის 13 სექტემბერს თბილისში მიჰქონდა გასაყიდად, მაგრამ დააკავეს დუშეთის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა.

# მოზაიკა

## გამოცდილების გაზიარება

**მრავალ** დეტექტურ ფილმს სიუჟეტად დამნაშავეთა სამყაროს ცხოვრებიდან აღებული რეალური ფაქტი უძევს საფუძვლად. ბანდიტები თავის მხრივ ხშირად იყენებენ კინოგმირთა გამოცდილებას...

იტალიელ კინორეჟისორ მარკო ვიკარიოს ქურდებმა მოპარეს სეიფი. ქურდები მოქმედებდნენ ზუსტად იმ „ტექნიკით", რომელიც მის ერთ-ერთ ფილმში იყო ნაჩვენები, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ვიკარიოს ფილმში მძარცველებმა დაბნეულობის გამო ვერ შეძლეს სეიფის წაღება, ცხოვრებაში კი მათ ამის გაკეთება არ დავიწყებიათ.

## ვინ არის ქურდი?

**ამერიკის** ერთ-ერთ ბანკში პანიკა სუფევდა. სალაროში არ ჰყოფნიდათ 500 დოლარი. გამოიძახეს პოლიცია, რომელმაც ბანკში მეთვალყურე დააყენა. შესვენების დროს პოლიციელმა უეცრად დაინახა თუთიყუში, რომელიც ფანჯრიდან შემოფრინდა, დაჯდა სალაროს მაგიდაზე, ჩაბღუჯა ბანკნოტი და გაფრინდა. უკვე ძნელი აღარ იყო დადგენა, რომ ამ გაწვრთნილ თუთიყუშს ფული თავისი პატრონისათვის მიჰქონდა, რომელიც ბანკის წინ ცხოვრობდა. ორივე გაგზავნეს ციხეში, „მწვრთნელი" — საპატიმროში, „ქურდი" კი ზოოპარკში.

ИЗ ЗАЛА СУДА

# НЕ СОВСЕМ БЕНДЕР

Биография эта, если бы с ней были знакомы Ильф и Петров, могла бы значительно пополнить ряд важнейших событий в жизни Остапа Бендера. Хотя многое в ней совпадает. Взять хотя бы один абзац из толстого дела по обвинению Важи Гарсеванишвили: «Из Какар-Кургана уехал на поезде в Ташкент, где в первых числах ноября, используя чужой паспорт, проживал в гостинице. Затем познакомился с Натальей Фенюк, представившись ей в соответствии с документами Генри Мушкудиани (Гизо). Сказал, что холост и работает заготовителем. Поехал с ней к ее родителям в Алма-Ату. В Алма-Ате, не расписываясь, сыграл свадьбу в ресторане «Кастар», где присутствовали ее родители и родственники. Прожил в ее доме целый месяц, познакомился с неким Назимом Мамедовым, и, украв его машину, удрал...». Доехал до Новгорода, затем Москва, Ленинград, Джамбул, новые обманутые, растерянные, обокраденные. Словом, недостает только выпотрошенных по пути стульев...

И надо учесть, это только крошечное звено целой цепи, только месячный период из жизни, которая состоит из доброй сотни столь «красочных» эпизодов. В связи с их количеством и разнообразием Гарсеванишвили неоднократно судим. И, конечно, он продолжил бы свое приключенческое путешествие по дорогам нашей страны, если бы не оказавшийся «на виду» случай.

Некий гражданин А. (из сочувствия к потерпевшему, оказавшемуся в довольно комедийной ситуации, не назовем его имени) ехал по Тбилиси, направляясь в сторону Руставской дороги. Проезжая под «сухим мостом» правобережной набережной Куры, он увидел девушку привлекательной наружности, которая останавливала попутные машины. Через минуту она уже сидела на соседнем сидении, так как следовала, по ее словам, именно в Рустави.

Весело болтая со смущенным и довольным водителем, 20-летняя Галина Бартко (она простодушно назвалась Галей) вскоре согласилась продлить поездку, побывав в каком-нибудь из живописных уголков природы. Она попросила А., взволнованного приятной новостью, подвезти ее к колхозному рынку поселка Соганлуги, где якобы проживают ее родители, чтобы предупредить, что вернется домой поздно. Но зайдя в подъезд дома, она попросту переговорила с двумя ожидавшими ее людьми, а затем вернулась в машину. Приехав в выбранное ею местечко «Ялгуджа» Гардабанского района, Бартко вышла, тем самым подав сигнал к началу действий, а А., по ее предложению разделся! Тут, подкравшись к машине, его и схватили давно готовые Важа Гарсеванишвили и его сообщник Р. Гугунишвили. Все вместе, угрожая ножом, они вынудили водителя покинуть автомобиль, и, сев в него, удрали с места происшествия.

С этого момента двое «помощников», ранее не судимые Галина и 22-летний Роман, больше не были нужны руководителю «операции». Командующий парадом спрятал машину сначала в селе у бабушки, в скирде сена, а потом перегнал ее в Баку, чтобы на пароме переправить в республики Средней Азии и продать. Правда, во время погрузки произошла осечка — сотрудники водной милиции потребовали у Гарсеванишвили документы, а он в ответ, неожиданно испугавшись, все бросил и скрылся.

Таким образом, за короткий срок наш «герой» совершил более 10-ти уголовных преступлений, перечислять которые не имеет особого смысла. Главное, что с делом его, составляющим только на бумаге многие десятки страниц, пришлось изрядно повозиться. Целая группа опытных сотрудников, органов внутренних дел участвовала в поисках преступника, потратив свои силы, дни и ночи, прежде чем окончательно завершилось много раз прерывавшееся и дополнявшееся многочисленными данными следствие. Среди тех, кому пришлось заниматься раскрытием, начальник отделения МВД ГССР подполковник милиции Н. Ломсадзе, старший оперуполномоченный УУР МВД ГССР майор милиции Г. Кахишвили и старший следователь СУ МВД ГССР капитан милиции С. Оганезов. Арестованный и привлеченный к ответственности, Гарсеванишвили был осужден нарсудом Болнисского района к 13-ти годам лишения свободы. Однако в ходе следствия, когда осужденный был помещен в изолятор временного содержания УВД Тбилиси, ему удалось совершить побег и скрыться! И вновь был пойман только через полгода, в Таджикской ССР, в городе Душанбе... Теперь он отбывает 15-летнее наказание...

Так и закончилась биография, напоминающая во многом жизнь героя «12-ти стульев». Однако так ли похожа она на судьбу Бендера? А тем более, так ли похожи действующие лица? Ведь несмотря на все поступки, Бендер вызывает у нас симпатию, а Важа Гарсеванишвили нет. Почему? Даже при беглом знакомстве с последовательно изложенными фактами дела, в мыслях вырисовывается характер иной, более циничный, злой, чем запечатлевшийся образ литературного героя. Встают перед глазами Важа и приютившие его студенты, обворованные им, краденные у многих людей паспорта, которые они добродушно «одалживали» незнакомому для крайне необходимых, по его словам, вещей. Важа и его старый друг Валера Мартинец, врач «скорой помощи», у которого он три дня ночевал в Горьком. И уезжая от друга, гостеприимного хозяина, Гарсеванишвили на прощанье мелочно и подло... обокрал его. И наконец, выбранные им сообщники, 20-летняя Галина и 22-летний Роман, помогавшие ему без всякой выгоды, которых он поставил под удар, кстати осужденные на 7 и на 8 лет лишения свободы. Ведь они не Киса Воробьянинов, который знает, чего хочет, в любой момент способный предать... Словом, мог бы совершить все это Бендер? Присущи ли ему подобные черты, поступки, взгляды? Думается, нет.

Н. ГВАРАМИЯ.

სპორტი — სპორტი — სპორტი

# ხობელთა გამარჯვება

**ზუგდიდში** ჩატარდა სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბჭოს რაიონული პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის საქალაქო, გეგეჭკორის, ცხაკაიას, ჩხოროწყუს, ხობის, წალენჯიხის, ზუგდიდის რაიონული განყოფილებების, ენგურჰესის ქვეგანყოფილების, ზუგდიდის სახანძრო ნაწილის ფეხბურთელთა გუნდებმა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შს ზუგდიდის საქალაქო და ხობის რაიგანყოფილებების ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა დამთავრდა ხობელ ფეხბურთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1. გამარჯვებულებს გადაეცათ თასი და პირველი ხარისხის დიპლომი. მესამე ადგილი დაიკავა წალენჯიხის გუნდმა.

ჯ. გოგია,
გათამაშების მთავარი მსაჯი.



სურათზე: ხობის შს რაიგანყოფილების ფეხბურთელთა გუნდი.

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23, ტელ. 95-66-72, 991-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 08970